საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-501

10/06/2019

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე თიხა-თაბაშირის (გაჯი) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია „გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე 52 766 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) ღია კარიერული წესით მოპოვების“ სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ. ადგილის კოორდინატებია (X-504354;Y-4603592; X-504354;Y-4603304; X-504014 ;Y-4603424;)

ერთ უბნად წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 530-560 მ. სიმაღლეზე. აღნიშნული ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 535 მ-ით. მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძამდე შეადგენს 100 მეტრს. წიაღითსარგებლობის ობიექტიდან გაზსადენი დაშორებულია 40 მ-ით, ხოლო ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი 80 მ-ით.

ტერიტორია აგებულია ფხვიერი, სუსტად შეცემენტებული ნალექებით: თაბაშირის შემცველი თიხნარებით, წვრილი კენჭნარის ჩანართებით და დაფარულია ნიადაგის თხელი ფენით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. სასარგებლო წიაღისეულის ობიექტის ფართობია - 10,9 ჰა, საშუალო სიმძლავრე - 0,3 მ. წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავება ხდება ღია კარიერული წესით.

სალიცენზიო ობიექტზე პროგნოზული წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლებით, მარაგი შეადგენს 52 766 ტონას. ობიექტიდან მოპოვებული წიაღი გამოიყენება სამშენებლო საქმიანობაში.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. ასევე, ტყით მჭიდროდ დაფარულ

ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს ხდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა და შესაბამისად მოსალოდნელია ნიადაგზე ზემოქმედება. ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანები უნდა დასაწყობდეს შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. მოპოვებითი სამუშაოების დროს გათვალისწინებულია ტერიტორიის ეტაპობრივი რეკულტივაცია.
სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და მოსახლეობაზე, ვინაიდან ობექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 535 მეტრით. ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები იქნება სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც უშუალოდ ხდება კარიერის დამუშავება და ტრანსპორტირება.

თიხა თაბაშირის (გაჯი) ღია კარიერული წესით მოპოვების დროს მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ასევე ნედლეულის ტრანსპორტირებისას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია შესწავლილი არა არის და ადგილის დახასიათება მოცემულია რაიონში არსებული თიხა-თაბაშირის საბადოებისა და გამოვლინებების ანალოგიით.

სკრინინგის განცხადებაში არ არის დაზუსტებული ინფორმაცია, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების მოცულობების შესახებ.

რადგან მოსაპოვებელი ტერიტორიის სიახლოვეს გადის (40 მ) გაზსადენი და ასევე ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი(80მ), საჭიროა აღნიშნული საკითხის შეთანხმება მოხდეს შესაბამის სამსახურებთან.

ვინაიდან აღნიშნული სალიცენზიო ობიექტი დიდ ფართობზეა (109930მ^2) წარმოდგენილი და გათვალისწინებული მარაგი შეადგენს 52766 ტონას, საქმიანობის შედეგად მოსალოდნელია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპოვების მოცულობის და მოსახლეობის დაშორების მანძილის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის თიხა-თაბაშირის (გაჯი) ღია კარიერული წესით მოპოვების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვებაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი